

კვლევაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების როლი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვაში

ეკატერინე კვირიკაშვილი

სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლის დირექტორი

ნინო გოგოჩაშვილი

სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე

რეზიუმე

ბოლო წლებში ჩატარებულმა საერთაშორისო კვლევებმა დაგვანახეს, რომ ზოგიერთ დისციპლინაში ქართველი მოსწავლეები შედეგებით საერთაშორისო საშუალო მაჩვენებლების მიღმა აღმოჩნდნენ. ვფიქრობთ, რომ არსებული მდგომარეობის გასაჯანსაღებლად ყველამ, და მათ შორის სკოლებმაც, უნდა გაანალიზონ თავისი შესაძლებლობები და პერსპექტივები, დასახონ პრობლემის გადაჭრის საკუთარი გზები.

წინამდებარე ნაშრომით გვსურს ფართო საზოგადოებას გავუზიაროთ კვლევაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებით სკოლის მართვის წარმატებული პრაქტიკა და მისი გავლენა ამ დაწესებულების განვითარებასა და მოსწავლეთა მიღწევებზე.

საკვანძო სიტყვები: სკოლა, კვლევა, მართვა.

საქართველოში განათლების სისტემის რეფორმა 1995 წლიდან მიმდინარეობს, რაც მანამდე არსებული მართვის მკვეთრად ცენტრალიზებული მოდელის შეცვლის პირველი მცდელობა გახლდათ. 2001 წლიდან ინტენსიურად დაიწყო „საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის“ განხორციელება, თუმცა ზოგადი განათლების სფეროში განათლების ხელმისაწვდომობის, ეფექტურობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით რეალური ცვლილებები სათავეს 2004 წლიდან იღებს.

ამ პერიოდში შეიქმნა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები და დამტკიცდა კანონი ზოგადი განათლების შესახებ, შეიცვალა ზოგადი განათლების დაფინანსების სისტემა, რაც გახდა იმის საფუძველი, რომ საჯაროდ და პოლიტიკის დოკუმენტის დონეზე გაცხადებული მიზნების შესაბამისად, დაწყებულიყო დეცენტრალიზაციის და დერეგულაციის პროცესი. სისტემაში განხორციელებული დეცენტრალიზაციის შედეგად სკოლის დონეზე მივიღეთ მაღალი ხარისხის დემოკრატიული მოდელი, მაგრამ ჩვენი აზრით, ამ პროცესებისთვის მოუმზადებელი ადამიანური რესურსის წყალობით საფრთხე დაემუქრა სასწავლო პროცესს, ფინანსური რესურსების განკარგვის სამართლიანობას, სკოლის დონეზე არ ხდებოდა სასწავლო პროცესის ხარისხის და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შემუშავება და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. რაც უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა.



რეფორმის ძირითად პროდუქტზე, მოსწავლეთა განათლებაზე, ჩატარებულმა (ადგილობრივი და საერთაშორისო PIRLS და TIMSS კვლევები) კვლევებმა სამწუხაროდ საკმაოდ ცუდი შედეგები გამოკვეთა საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის დოქტორ ჰანს ვეიჯმეიკერის აზრით "PIRLS-სა და TIMSS-ის ის მიზანია, გაზომოს მოსწავლეთა მიღწევათა ტენდენციები და აჩვენოს პროგრესი ან რეგრესი გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შედეგად ბევრ ქვეყანას წინა ციკლის კვლევასთან შედარებადი მონაცემები უჩნდება, რომელიც თავის მხრივ საშუალებას იძლევა ქვეყანამ მონიტორინგი გაუწიოს საკუთარი განათლების სისტემის ტენდენციებს გლობალური კონტექსტის გათვალისწინებით". საერთაშორისო კვლევის შედეგების მიხედვით სასიხარულოა, რომ საქართველომ 2006 წელთან შედარებით წიგნიერებაში შედეგები საგრძნობლად გააუმჯობესა და დაუახლოვდა საერთაშორისო საშუალო სკალირებულ ქულას (500). 2011 წლის წიგნიერების კვლევაში საქართველო აღმოჩნდა საერთაშორისო საშუალოს ოდნავ ქვემოთ (488 საშუალო სკალირებული ქულით). საქართველო PIRLS-ში მონაწილე ქვეყნების სიაში 45 მონაწილე ქვეყნიდან 34-ე დგილზე გავიდა.

საქართველოში იშვიათია განათლების ხარისხთან დაკავშირებული კვლევები, რომლებიც შეისწავლის მართვის სტილთან დაკავშირებულ ინტერვენციების კავშირს ზოგადი განათლების ხარისხის განვითარებაზე. მართვის პროცესებში საჭიროა არა მხოლოდ მართვის ობიექტის პროცესების კვლევა, არამედ საკვლევი სიტუაციის ხასიათის, სპეციფიკის, მათი შესწავლის მეთოდებისა და შედეგების გამოყენების გათვალისწინებით, თავად მართვის ფუნქციებისა და განვითარების პროცესების კვლევაც.

სამწუხაროდ, საქართველოში განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დაფუძნების მიუხედავად, რეალურად ჯერ კიდევ არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და მისი დინამიკის შესახებ.

მოსწავლეთა მიღწევების კუთხით თბილისის #82 საჯარო სკოლაში არსებული სიტუაცია მართალია ზოგადი ფონისგან მკვეთრად არ განსხვავდებოდა, თუმცა უნდა შედეგები გაწეული შრომის დექვატური არ იყო.

წარმოგიდგინთ სკოლის მოსწავლეთა მიღწევების სტატისტიკურ ანალიზს:



2010-2011 სასწავლო წელს პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, სკოლაში ჩავატარეთ ფოკუს ჯგუფი. გამოითქვა ჰიპოთეზა, რომ სკოლაში არსებული მოსწავლეთა მიღწევები კორელაციაში იყო სასკოლო საზოგადოების ოჯახების სოცო-ეკონომიკურ ფონთან. სწავლა-სწავლების პროცესში სუსტი რგოლის გამოვლენის და სიტუაციის გაჯანსაღების მიზნით, გადავწყვიტეთ ჩავეტარებინა პრაქტიკული კვლევა.

პრაქტიკული კვლევის არსი კი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ორგანიზაციის თანამშრომლები კვლევის პროცესში უშალოდ მონაწილეობენ, ერთვებიან როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელებისა და შეფასების პროცესში (Karlsen, 2001). კვლევა მართო სირთულეების გადასაღებად კი არ არის საჭირო, არამედ ახალი იდეების, ინოვაციების გამოსაცდელად, საკუთარი ძალების გასაძლიერებლად, საკუთარი ძლიერი მხარისა და პოტენციალის აღმოსაჩენად, საჭირო უნარ-ჩვევების გასავითარებლად.

განათლების სფეროში დასაბუთებული გადაწყვეტილებების მისაღებად ხშირად მიმართავენ პრაქტიკულ კვლევას. „პრაქტიკული კვლევა - ეს ცოდნის მიღების სრულიად ახალი ფორმაა, სადაც ურთიერთობა პრაქტიკასა და თეორიას შორის, ასევე, კვლევასა და მოქმედებას შორის გაცილებით უფრო ორგანულია და დაახლოებული (Karlsen 2001). ტრადიციულად პრაქტიკული კვლევები განათლები სისტემაში იწვევს სასარგებლო ცვლილებებს როგორც მასწავლებლებისთვის ასევე მოსწავლეებისათვის. მასწავლებლების შემთხვევაში ეს არის მათი პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწა და სწავლების პროცესის გაუმჯობესებას. მოსწავლეების შემთხვევაში კი, ხდება მათი აკადემიური მოსწრების დონის ამაღლება.

როგორც ჯონ ჰერონი და პიტერ როზინი აღნიშნავენ, „პრაქტიკული კვლევა წარმოებს ადამიანებთან ერთად და არა - ადამიანებზე“ (Heron & Reason 2001).

პრაქტიკული კვლევის ეტაპებია:

1. პრობლემური სფეროს იდენტიფიცირება
2. სპეციფიკური პრობლემის შერჩევა, ჰიპოთეზის ან პროგნოზის ფორმულირება, რომელიც კონკრეტულ მიზანს და მისი მიღწევის პროცედურას მოიცავს;
3. მოქმედებებისა და დაგროვილი მტკიცებულებების გულდასმით ჩაწერა, რათა განისაზღვროს, მიღწეული იქნა თუ არა მიზანი.
4. მოქმედებისა და სასურველი მიზნის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, გენერალიზაციის მტკიცებულებებიდან დასკვნის გამოტანა
5. გენერალიზაციების უწყვეტი შემოწმება მოქმედებაში/პრაქტიკაში.

კვლევის მიზანი იყო გაგვერკვია გვინდოდა გაგვერკვია არსებობს თუ არა კავშირი მოსწავლის ოჯახის სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობასა და მის აკადემიურ მოსწრებას შორის. გვეონდა იმედი, რომ ამ გზით უკეთ გამოიკვეთებოდა არსებული სიტუაციის გამომწვევი მიზეზები და საშუალება მოგვეცემოდა დაგვესახა კონკრეტული გზები მათ გადასაჭრელად. კვლევის ბოლოს შემუშავდებოდა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარებოდა სკოლის დირექციას არსებული სიტუაციის გაუმჯობესებაში.

ეფექტური და ეფექტიანი სასკოლო სასწავლო გეგმის შექმნა, სკოლის წინაშე მდგარი პრობლემების გამომწვევი მიზეზების დადგენა და გადაჭრა, შეუძლებელია ექსპერიმენტის ჩატარების, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის და მათთან დიალოგის გარეშე, ანუ აუცილებელია პრაქტიკული კვლევა.

სკოლაში პრაქტიკული კვლევის გამოყენებით ხდება პრობლემების ზუსტი იდენტიფიკაცია, შეგროვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე სამოქმედო გეგმის შემუშავება, შემდეგ ხდება ინტერვენციები და ცვლილებების გატარება, ბოლოს კი მიმდინარეობს კვლევის შეფასება. პრაქტიკული კვლევის თითოეულ ეტაპზე კვლევის მონაწილეები მაქსიმალურად არიან პროცესში ჩართულები.

განათლების სფეროში უთანასწორობა შესაძლოა არსებობდეს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, სქესის ეთნიკური წარმომავლობის თუ სხვა საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში კვლევის საგანს წარმოადგენს ის, თუ როგორ ხდება განათლების სისტემის

მიერ სხვადასხვა სოციალური კატეგორიის წარმომადგენელთა სტრატეგიცირება და მათთვის განათლების მიღების პირობების უზრუნველყოფა. მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ ბავშვები შედარებით მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებიდან, საშუალოდ უკეთ სწავლობენ, ვიდრე ბავშვები შედარებით დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებიდან. სხვადასხვა მკვლევარი აღნიშნულ განსხვავებას სხვადასხვა ფაქტორით ხსნის, რომელიც, ორ მსხვილ კატეგორიად ჯგუფდება: შინ არსებული გარემო და სკოლაში არსებული გარემო. საცხოვრებელი პირობებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს განათლების მიღების პროცესზე. შედარებით მდიდარ ოჯახში უფრო მეტი საშუალებაა იმისთვის, რომ მეცადინეობისას ბავშვს მშვიდი გარემო ჰქონდეს. დარბ ოჯახებში საცხოვრებელი პირობები არა მარტო ხელს უშლის ბავშვს მეცადინეობაში, არამედ იწვევს მის ხშირ ავადმყოფობას და ამის გამო სკოლის გაცდენას აცდენს.

საშუალო და მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებს მეტი შესაძლებლობა აქვთ „კულტურული კაპიტალი“ დააგროვონ, რაშიც იგულისხმება:

- ოჯახში წიგნების სიმრავლე
- საგანმანათლებლო სათამაშოები
- კომპიუტერული და სხვა ტექნოლოგიები
- ვიზიტები მუზეუმებსა და გალერეებში
- განათლებული ოჯახის წევრები და ა.შ.

ეს ყველაფერი დიდწილად უკავშირდება ფინანსურ რესურსებს, ერთგვარად ასახავს კიდევ ღირებულებებს შორის განსხვავებას.

სიტუაციის ნათლად წარმოსადგენად, როგორც მოგეხსენებათ დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის შესახებ ინფორმაციის გაანალიზებას.

ქალაქ თბილისის #82-ე საჯარო სკოლა მდებარეობს ისანი-სამგორის რაიონში, კერძოდ, საავიაციო ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე. მოსახლეობა მრავალეთნიკურია და ძირითადად დასახლებულია ე.წ. მუშათა კლასის წარმომადგენლებით, რომლებიც დასაქმებულები იყვნენ საავიაციო, სატანკო და საავიაციო ქარხნებში. მას შემდეგ, რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და აღნიშნული საწარმოები ეკონომიკური თვალსაზრისით არასახარბიელო მდობარეობაში აღმოჩნდნენ, დასახლებაში გაიზარდა უმუშევრობის მაჩვენებელი. შედეგად, დამძიმდა სოციალური ფონი. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დაკავდა წვრილმეწარმეობით, ვაჭრობით. გარდა ამისა, ვინაიდან განვითარებადი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია პროვინციებიდან სარჩო-საბადებლის საშოვნელად დიდ ურბანულ ქალაქებში მიგრაცია, ამასთან, ამ დასახლებაში იაფია ფართის დაქირავება/შესყიდვა, 90-იან წლებში საგრძნობლად გაიზარდა რაიონებიდან ოჯახების გადმოსახლება.

ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ, ჯგუფის წევრებმა მოვიძიეთ ინფორმაცია ჩვენთვის საინტერესო მახასიათებლების შესახებ:

1. მასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობა (60 მასწავლებელი, 892 მოსწავლე)
2. მოსწავლეთა წარმატების მაჩვენებელი (92%)
3. მოსწავლეთა გაცდენები (9%)
4. უმაღლესში ჩაბარების პროცენტული მაჩვენებელი, მათ შორის სოციალურად დაუცველების (61% - 0 %)
5. გრანტის მიმღებ მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებელი, მათ შორის სოციალურად დაუცველების (24 % - 0%)
6. სერტიფიცირებულ პედაგოგთა რაოდენობა, მათ შორის სოციალურად დაუცველების (10% - 0 %)

ამის შემდეგ შევუდექით მასწავლებელთათვის, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის კითხვარის მომზადებას, რომლებშიც შედიოდა სხვადასხვა ტიპის კითხვა (ღია, დახურული, რანჟირებული). სამივე სახის კითხვარი შეიცავდა მსგავსი შინაარსის კითხვებს, რათა შესაძლებელი გამხდარიყო მათი შედარება.

გამოვკითხეთ მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები. კვლევის დროს გამოვიყენეთ მარტივი შემთხვევითი შერჩევის მეთოდი. გამოვიკითხეთ საფეხურის მშობელთა 20% (120 მშობელი), საბაზო საფეხურის მშობელთა 20% (50 მშობელი), საშუალო საფეხურის 20% (30 მშობელი). გენერალური ერთობლიობიდან ამონარჩევის ზომამ შეადგინა 200 მშობელი. მოსწავლეების შერჩევისას გამოვიყენეთ სტრატეგიცირებული შემთხვევითი შერჩევის მეთოდი. სტრატა წარმოადგენდა: I – დაბალი სოციალურად სტატუსის მქონე მოსწავლეები, II- შედარებით მაღალი სოციალური სტატუსის მქონე მოსწავლეები. გამოვკითხეთ ყველა სოციალურად დაუცველი მოსწავლე (75) და შედარებით მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ასევე 75 მოსწავლე. (მოსწავლეებმა სოციალური სტატუსის მიხედვით დაყოფის შესახებ არ იცოდნენ). ასევე გამოვიკითხა პედაგოგთა 50% (30 პედაგოგი). კვლევისას სულ გამოვიკითხა 380 რესპოდენტი, მათ შორის 150 მოსწავლე, 200 მშობელი და 30 მასწავლებელი. კითხვარების საშუალებით მივიღეთ ინფორმაცია შემდეგ მახასიათებლებზე:

1. მოსწავლეთა მოტივაციის დონე;
2. მოსწავლეთა თვითშეფასების მაჩვენებელი;
3. მოსწავლეთა მხრიდან მასწავლებლებთან დახმარების სათხოვნელად მიმართვის სიხშირე;
4. მასწავლებელთა მოტივაციის დონე;
5. მშობელთა ჩართულობის დონე;

კითხვარების დამუშავებამ ასეთი სურათი მოგვცა : გამოკითხულ პედაგოგთა საშუალო ასაკი იყო 42 წელი. მათ შორის 26 იყო ქალი და 4 მამაკაცი, ასევე გამოკითხულ

პედაგოგთა საშუალო სტაჟი იყო 12 წელი. გამოკითხულ პედაგოგთა მცირე რაოდენობამ იცოდა რამდენი სოციალურად დაუცველი მოსწავლე ჰყავს კლასში. გამოკითხულ მასწავლებელთა 73% -ის აზრით მოსწავლის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა ზეგავლენას ახდენს მის აკადემიურ მოსწრებაზე. ამასთან, მათივე შეფასებით, გამოიკვეთა, რომ დაბალი სოციალური სტატუსის მქონე მოსწავლეების მოტივაციის დონე მკვეთრად ჩამორჩება შედარებით მაღალი სოციალური სტატუსის მქონე მოსწავლეების მოტივაციის დონეს. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა შეფასებით ამ ორი სოციალურად განსხვავებული სტატუსის მქონე მოსწავლეების მიერ მასწავლებელთათვის დახმარებისათვის მიმართვის სიხშირე განსხვავდება ერთმანეთისაგან. საბოლოოდ, გამოკითხული 30 მასწავლებლის პასუხების ანალიზის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათი უმრავლესობა დიდ კავშირს ხედავს მოსწავლის ოჯახის სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობასა და ბავშვის აკადემიურ მოსწრებას შორის.

ინფორმაციის ანალიზის შემდეგ მივიღეთ ჩვენთვის მოულოდნელი შედეგები, კერძოდ სკოლაში მომუშავე სოციალურად დაუცველ მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობის სარეიტინგო ქულები დაბალია საკუთარი კათედრის წევრებთან მიმართებაში. აგრეთვე სკოლაში აკადემიური წარუმატებლობის ყველაზე დიდი მაჩვენებელი სწორედ მათ მოსწავლეებს აქვთ. ერთ-ერთ კლასში მიმდინარე წელს (მას შემდეგ რაც ამ კლასს სოციალურად დაუცველი მასწავლებელი აღარ ასწავლიდა), კლასის წარმატება-წარჩინების მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა (კლასში მოსწავლეთა მოძრაობა არ დაფიქსირებულა).

რაც შეეხება მშობელთა გამოკითხვის შედეგებს, გამოკითხულთა უმრავლესობა იყო ქალი. გამოკითხულ მშობლებთაგან ქვრივების, განქორწინებულთა და მარტოხელების საერთო რაოდენობამ შეადგინა 78%. გამოკითხულ მშობელთა 58% -ს აქვს საშუალო განათლება, 14%-ს - არასრული საშუალო, 16%-ს ბაკალავრის, ხოლო 12%-ს - მაგისტრის. გამოკითხულთა 70% დასაქმებულია, რომელთა კვირეული სამუშაო დატვირთვა 64 საათია. ვინაიდან კვლევაში მონაწილე მშობელთა 38 %-ის წლიური შემოსავალი 1500 ლარზე ნაკლებია, ამასთან გამოკითხულთა უმრავლესობა ვერ ახერხებს სასწავლო სახელმძღვანელოების შეძენას, დავასკვნით, რომ ეს კატეგორია სოციალურ დაუცველ ფენას მიეკუთვნება (სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით მინიმალური სამომხმარებლო კალათა თვეში 150 ლარზე მეტს შეადგენს). კვლევაში მონაწილე მშობლების შეფასება შვილების აკადემიური მოსწრების შესახებ მაღალია. 5 ბალიანი სისტემიდან საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 4.5. უმრავლესობა აღიარებს, რომ არ არის ჩართული სასწავლო პროცესში. გამოკითხულთა 65%-ს საცხოვრებელი ფართის პრობლემა აქვს და უმრავლესობას საოჯახო ბიბლიოთეკაში 100-ზე ნაკლები წიგნი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი აზრით, მშობელთა 38% სოციალურად დაუცველია, გამოკითხულთა 78%-ს სახლში აქვს პერსონალური კომპიუტერი.

კვლევაში მონაწილე მოსწავლეთა 41% თითქმის არასდროს ღებულობს მონაწილეობას სასკოლო ოლიმპიადებსა და კონფერენციებში, მათ შორის 36% სოციალურად დაუცველია. გამოკითხულ სოციალურად დაუცველ მოსწავლეთა 65% მასწავლებელს საგნობრივი დახმარებისთვის მიმართავს მეგობრებთან ერთად. გამოკითხულ

მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი მრავალშვილიანი ოჯახიდან არის საიდანაც 84% შემთხვევაში მხოლოდ ერთი წევრია დასაქმებული. კითხვაზე დღეში რამდენ საათს ატარებენ ოჯახთან ერთად ძალიან ბევრ მოსწავლემ პასუხი არ გასცა. მშობლების შეფასებისგან განსხვავებით მოსწავლეებს აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით დაბალი თვითშეფასება აქვთ. 5 ქულიანი სისტემით საშუალო მაჩვენებელი შეადგინა 2. მოსწავლეთა 40%-მა განაცხადა, რომ ვერ ყიდულობენ სასკოლო სახელმძღვანელოებს, მათგან 75% სარგებლობს მეორადი წიგნებით, ხოლო 25%-მა განაცხადა, რომ სკოლა ეხმარება. კვლევაში მონაწილე მოსწავლეების 25% არდადეგებზე რჩება ქალაქში, 68 % ისვენებს სოფელში, ხოლო 7% გადანაწილდა სხვა პასუხებზე. გამოკითხულ მოსწავლეთა მხოლოდ 3%-მა განაცხადა, რომ არასოდეს აცდენს სკოლას, 35%-მა - იშვიათად, ხოლო მოსწავლეთა 62%-ს ხშირად უწევს სკოლის გაცდენა. ეს მონაცემი ჩვენი აზრით, კორელაციაშია გამოკითხულ მშობელთა 65%-იან მაჩვენებელთან, რომლებსაც საცხოვრებელი ფართის პრობლემა აქვთ.

კვლევის შედეგად სამწუხაროდ ჩვენი ჰიპოთეზა დადასტურდა: ოჯახის სოციო-ეკონომიკური ფონი ნამდვილად ახდენს გავლენას სწავლა-სწავლების ხარისხზე.

სიტუაციის გაჯანსაღების და მოსწავლეთა შედეგების გაზრდის მიზნით, შევიმუშავეთ შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- ✓ სკოლამ დასახოს და შეინარჩუნოს მაღალი მოლოდინები სოციალურად დაუცველ მასწავლებლისა და მოსწავლეთა მიმართ
- ✓ სკოლამ შეიმუშაოს მასწავლებლებთან მუშაობის განსხვავებული სტრატეგიები (მოტივაციის ამაღლება და პროფესიული განვითარებისთვის ხელშეწყობა და სხვა)
- ✓ სკოლამ იმუშაოს მშობლეთა ჩართულობის გაზრდაზე
- ✓ განახორციელოს სხვადასხვა სოციალური პროექტები, კერძოდ ჩამოაყალიბოს უფასო სპორტული და თემატური კლუბები, ხელი შეუწყოს ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთდახმარების, ტოლერანტული გარემოს ფორმირებას
- ✓ სკოლამ შეიმუშაოს ჩართულობის პრობლემის მქონე მოსწავლეებთან ინდივიდუალური სასწავლო აღმზრდელობითი კურიკულუმები
- ✓ შემოქმედებითი, სასწავლო, კულტურული, ერთობლივი ექსკურსიების ორგანიზება
- ✓ ჩამოაყალიბოს ისეთი სასკოლო კულტურა, რომელიც თანაბრად შეუწყობს ხელს სხვა და სხვა სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე საზოგადოების განათლებასა და მუშაობას.

სკოლის დირექციისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა. ორგანიზაციებს ისევე როგორც ინდივიდებს შეიძლება ჰქონდეთ კოლექტიური თვითშეფასების გრძნობა. თვითშეფასების შესახებ თეორიებს ძალიან დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვთ. ორგანიზაციების ლიდერებს ძალუძთ უზრუნველყონ ინდივიდებისთვის იმ უნარ-ჩვევებისა და რწმენის ჩამოყალიბება, რომლებიც

პიროვნებებს მოცემული ამოცანის შესრულებაში დაეხმარება (ოუენსი და ვალესკი 2010).

ფრედერიკ ჰერცბერგის მოტივაციის ორფაქტორიანი თეორიის მიხედვით, მოტივაცია ორი დამოუკიდებელი ფაქტორისგან შედგება:

- ✚ მოტივაციური ფაქტორები- რომლებსაც ძალუძთ სამუშაოთი კმაყოფილების გამოწვევა
- ✚ შემანარჩუნებელი ფაქტორები- რომელთა საკმარისი ოდენობის არსებობის შემდეგ ხდება მოტივაციური ფაქტორების ამოქმედება (ოუენსი და ვალესკი 2010).

ჰერცბერგის აზრით, სამუშაოთი უკმაყოფილება არ არის კმაყოფილების საპირისპირო. შეიძლება აღმოფხვრათ ან შევამციროთ უკმაყოფილების წყაროები მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ გზით მოტივირება მოხდება ან ეს განაპირობებს სამუშაოთი კმაყოფილებას (ოუენსი და ვალესკი 2010).

მოტივაციის შემსწავლელი კიდევ ერთი მეცნიერი ჯონ ატკინსონი თვლის, რომ ორი შექმნილი თვისება: წარმატების მიღწევა და/ან მარცხის თავიდან აცილების სურვილი ამოდრავებს ნებისმიერ ადამიანს. წარმატების მიღწევის გამძაფრებული სურვილის მქონე ადამიანები ცდილობენ კონკურენციის გაწევას, ხოლო მარცხის თავიდან აცილების გამძაფრებული სურვილის მქონენი ყველანაირი ხერხით ცდილობენ თავიდან აიცილონ კონკურენცია (ოუენსი და ვალესკი 2010).

სკოლაში მომუშავე ადამიანთა მოტივაცია არ არის მარტივი საქმე და პრიმიტიული ხერხებით ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია. მათი მოტივაციისას საჭიროა ყურადღება მიექცეს ინდივიდის პიროვნებასა და ორგანიზაციის გარემოს. მზა მეთოდი მასწავლებელთა მოტივირებისთვის არ არსებობს, საჭიროა ორგანიზაციის საგანმანათლებლო ლიდერმა თითოეული პედაგოგისთვის შეიმუშაოს ინდივიდუალური მიდგომა.


2010-2011 სასწავლო წელს ჩატარებული კვლევის შემდეგ თბილისის #82 საჯარო სკოლამ გაატარა შემდეგი ღონისძიებები:

1. პროექტი „წიგნიერი“
2. სკოლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება
3. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა
4. მიღწევების გაზომვის სტანდარტიზებული ტესტირებისგან განსხვავებული მეთოდის დანერგვა
5. მესამე საფეხურის მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესის ორგანიზაციის განსხვავებული მოდელის შეთავაზება
6. წელიწადში ოთხჯერ შედეგის მიღწევის სტატისტიკური ანალიზის დამუშავება
7. ტრენინგები
8. კათედრების მუშაობის მოდერნიზება
9. პრაქტიკული პედაგოგიური კვლევის დანერგვა



10. დირექციის მხრიდან პროფესიული განვითარების კუთხით პირადი მაგალითის მიცემა
11. ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვა
12. წრიული სასკოლო შეფასების სისტემის დანერგვა
13. მასწავლებელთა სასკოლო სარეიტინგო სისტემის მოდერნიზება
14. წახალისების მექანიზმების შემოღება
15. ხარისხის მართვის მარეგულირებელი ელემენტების შემოღება.

განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ, სკოლის დირექციის მიერ პერსონალის შესაძლებლობების განვითარების მიზნით, გატარებული აქტივობები. მაქსიმალურად ვუწყობდით ხელს მასწავლებელთა ჩართულობას სატრენინგო მოდულებში. პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწისა და სწავლების პრცესის გაუმჯობესების მიზნით პედაგოგებს შევთავაზეთ საკუთარ მუშაობაში დაენერგათ პრაქტიკული პედაგოგიური კვლევა. ეს დაეხმარა მასწავლებლებს თვითშეფასების უნარის განვითარებაში. ამ გზით ჩვენი პედაგოგები უკეთ მიხვდნენ სწავლების პროცესში რომელ საკითხში არიან უფრო კომპეტენტური და რომელში არა. ისინი უფრო მეტად ჩაუღრმავდნენ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას და განსაზღვრეს მოსწავლეთა საჭიროებები. პედაგოგებმა დაიწყეს ერთმანეთთან აქტიური თანამშრომლობა და მსჯელობა იმის შესახებ თუ სწავლის რომელი მეთოდები მუშაობს საკლასო ოთახში უკეთესად და რომელს სჭირდება გაუმჯობესება. ყველაფერი ეს კი უპირველეს ყოვლისა წაადგა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის პოზიტიური და თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარებას. ჩვენს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიწყო მასწავლებლების მხრიდან ახალი იდეებისა და ცვლილებების შეთავაზება და დანერგვა.

2013 წლის ივნისში ჩატარებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა დაგვანახა, რომ საჭიროებათა კვლევაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებით სკოლის მართვა ეფექტიანი და ეფექტური აღმოჩნდა, რასაც ადასტურებს წლების მიხედვით სკოლის მოსწავლეთა წარმატების და წარჩინების მაჩვენებელიც:



მათ შორის



გარდა ამისა, გაიზარდა მასწავლებელთა მოტივაცია და დღეს სკოლაში მასწავლებელთა 70% სერტიფიცირებულია, მათ შორის 4 % გვყავს ე.წ. წარჩინებული, ტრენერი, მენტორი, ექსპერტი მასწავლებლები.

1. მასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობა (52 მასწავლებელი, 872 მოსწავლე)
2. მოსწავლეთა წარმატების მაჩვენებელი (98%)
3. მოსწავლეთა გაცდენები (3%)
4. უმაღლესში ჩაბარების პროცენტული მაჩვენებელი, მათ შორის სოციალურად დაუცველების (85% - 0 %)
5. გრანტის მიმღებ მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებელი, მათ შორის სოციალურად დაუცველების (10 % - 4%)

6. სერტიფიცირებულ პედაგოგთა რაოდენობა, მათ შორის სოციალურად დაუცველების (63% ერთი საგანში მაინც აქვს ჩაბარებული, ხოლო 42 % სერტიფიცირებულია- 0 %)

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკული კვლევის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება-განხორციელებამ სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლას სამი დიდი სარგებელი მოუტანა: 1. სკოლაში გაუმჯობესდა ადმინისტრირება და ზოგადად სწავლა-სწავლების პროცესი 2. მასწავლებლების უმეტესობას გაუჩნდა სწავლა-სწავლების ხარისხზე პასუხისმგებლობის აღების ვალდებულება. 3. სასკოლო საზოგადოება „მოიწამლა“ უწყვეტი განათლების მიღების სურვილით.

გვჯერა, რომ კვლევაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებით სკოლების მართვა, უზრუნველყოფს საქართველოს განათლების სისტემაში შემავალი ყველა სკოლის მოსწავლის მიღწევების გაუმჯობესებას და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების ხარისხის მდგრად განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Karlsen Jan Irgens. "Action Research as a Method: Reflections from a Program for Developing Methods and Competence", Handbook of Action Research: Participative Inquiry and Practice, Sage Publications. London, 2001;
2. Heron J., P. Reason. "The Practice of Co-operative Inquiry: Research 'with' rather than 'on' People". Handbook of Action Research: Participative Inquiry and Practice, Sage Publications. London, 2001;
3. ოუენსი, რობერტჯ, დათომასს. ვალესკი. ორგანიზაციული ქცევა განათლებაში: ლიდერობა და სკოლის რეფორმა. 2010.

ტექსტში გამოყენებული დიაგრამები, ცხრილები, სურათები:

1. დიაგრამა-5.